ო ნ ი ს მ უ ნ ი ც ი პ ა ლ ი ტ ე ტ ი

ქ. ონში სანიაღვრე არხების სარეაბილიტაციო და მოწყობის სამუშაოების შესყიდვის
ელექტრონული ტენდერის
(შესყიდვისკატეგორია – 45232000)

სატენდერო დოკუმენტაცია

ქ. ონი

სარჩევი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

2. ტექნიკური მოთხოვნები

3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი

4. დანართი N1 ხარჯთაღრიცხვა

5. დანართი N2 გამოცდილება

ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1.1 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების შესაბამისად.

1.2 დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

1.3 ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვისას უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

1.4 შემსყიდველ ორგანიზაციაში წარმოსადგენი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში ატვირთულ უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულება).

1.5 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

1.6 სატენდერო დოკუმენტაციაში განსაზღვრულ შესასყიდ საქონელზე, სადაც მითითებული იქნება კონკრეტული სასაქონლო ნიშანი, მოდელი, წარმოშობის წყარო ან მწარმოებელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) იგულისხმება „მსგავსი“ ან „ეკვივალენტური“.

1.7 იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველი ორგანიზაცია პრეტენდენტისაგან ითხოვს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებას, რაზეც პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს" ან სხვა აკრედიტირებული პირის მიერ გაცემული შესაბამისი დასკვნა (დასკვნასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას დასკვნის გამცემი პირის აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი). ექსპერტიზის დასკვნის წარმოუდგენლობა ან/და უარყოფითი დასვნის წარმოდგენა გამოიწვევს შესაბამისი პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას. ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებაზე ვრცელდება „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების მე-12 მუხლის მე- 11–მე-14 პუნქტებით განსაზღვრული წესები.

1.8 სატენდერო წინადადებაში ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.სატენდერო წინადადების საერთო და ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ლარში.

1.9 პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

1.10 უპირობო, გამოუთხოვადი წინასწარი ანგარიშსწორების (საავანსო) გარანტია წარმოდგენილი უნდა იქნას საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან ან სსიპ „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის" მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიიდან, ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

1.11 სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სისტემის მოდულის – ,,კითხვა/პასუხის“ მეშვეობით, ან/და სატენდერო კომისიის აპარატში, წერილობითი მიმართვის შემთხვევაში. მის: ქ. ონი,დავით აღმაშენებლის მოედანი №1, მე–2 სართული. საკონტაქტო პირი: ქ-ნი მარინე მაისურაძე, ტელ:591 01 03 83. ტექნიკურ საკითხებთან დაკავშირებით საკონტაქტო პირი ბ-ნი თეიმურაზ გძელიშვილი , ტელეფონის ნომერი 591 01 04 33.

2. ტექნიკური მოთხოვნები

2.1 ტექნიკური პირობები: შესასრულებელი სამუშაოების ჩამონათვალი და რაოდენობა განსაზღვრულია სატენდერო დოკუმენტაციის დანართი N1-ში. საპროექტო დოკუმენტაცია ატვირთულია სატენდერო დოკუმენტაციასთან ერთად.

ხარჯთაღრიცხვის ექსელის ფორმატის ფაილი ატვირთულია სატენდერო დოკუმენტაციასთან ერთად.

2.2 მიწოდების ვადა და ადგილი:

2.2.1 სამუშაოების მიწოდების ვადა: სამუშაოთა წარმოების კალენდარული გეგმა-გრაფიკის შესაბამისად, (90 კალენდარული დღე.)

2.2.2 მიმწოდებელმა სამუშაოების შესრულების კალენდარული გეგმა-გრაფიკი უნდა წარმოადგინოს და შემსყიდველთან შეათანხმოს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში.

შენიშვნა:

მიმწოდებლის მიერ გრაფიკის შედგენისას გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი: მიმწოდებლის მიერ პირველი რიგის სამუშაოების დაწყება უნდა მოხდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 7 დღისა.

2.2.3 მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები დაიწყოს წარმოდგენილი და ორმხრივად დამოწმებული გეგმაგრაფიკის შესაბამისად.

2.2.4 მიწოდების ადგილი –ქ.ონი, მუზეუმიდან სახანძრომდე და არტუანის უბანი.

2.3 გამოცდილება:

პრეტენდენტს 2014 წლის 01 იანვრიდან უნდა გააჩნდეს მინიმუმ 80 000 ლარის ღირებულების ანალოგიური სამუშაოების (სანიაღვრე არხების მშენებლობისა და რეაბილიტაციის სამუშაოების) გამოცდილება ქვეკონტრაქტორების გარეშე (წარმოდგენილ იქნას დამადასტურებელი დოკუმენტაცია – ხელშეკრულებ(ები)ა, ამ ხელშეკრულებ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი-მიღება-ჩაბარების აქტის სახით(დანართი N2).

2.3 შესრულებული სამუშაოს ხარისხის გარანტია

2.3.1შესრულებული სამუშაოს ხარისხის საგარანტიო ვადად განისაზღვროს საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 2 (ორი) წელი.

2.3.2 სამუშაოების დასრულების შემდეგ საგარანტიო ვადის განმავლობაში რაიმე წუნის (ნაკლოვანებები, დეფექტი) აღმოჩენის შემთხვევაში, თუ დადგინდება რომ აღნიშნული წუნი (ნაკლოვანებები, დეფექტი) გამოწვეულია უხარისხო ან/და არაჯეროვანი შესრულებით, მიმწოდებელი ვალდებულია აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები საკუთარი ხარჯებით.

2.4 პრეტენდენტის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთი მონაცემები:

2.4.1 ხარჯთაღრიცხვა დანართი N1–ის მიხედვით ;

2.4.2 ინფორმაცია გამოცდილების შესახებ დანართი N2–ის შესაბამისად; (მე-2 მუხლის 2.3 პუნქთის შესაბამისად).

3.ხელშეკრულება პროექტი

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

<u>ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს (გარდა ხელშეკრულების მე-7 მუხლისა) და დაიხვეწოს ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენთთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.</u>

ქ. ონი თარიღი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ ონის მუნიციპალიტეტის გამგეობა(შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი ---- სახით და მეორეს მხრივ ----- (“შემდგომში მიმწოდებელი”), წარმოდგენილი ---- სახით, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მათი გათვალისწინებით, შეთანხმდნენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობებზე და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების თაობაზე.

2.ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტი, შესყიდვის საშუალება, ხელშეკრულების ღირებულება, ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა

2.1 ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტია - ---------- სამუშაოები, რომელიც განსაზღვრულია მიმწოდებლის სამუშაოების ხარჯთაღრიცხვაში, თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

2.2 შესყიდვის საშუალება – ელექტრონული ტენდერი.

2.3 ელექტრონული ტენდერის განცხადების ნომერი ------.

2.4 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს ---- ლარს, ყველა გადასახადის ჩათვლით.

2.5 კლასიფიკატორის კოდი - **45232000**- ქ. ონში სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია მოწყობის სამუშაოები.

2.6 ხელშეკრულება ძალაში შედის გაფორმებისთანავე და ძალაშია ---------- ჩათვლით.

3.სამუშაოს შესრულების პირობები, ვადა და ადგილი

3.1 სამუშაოების მიწოდების ვადა - სამუშაოთა წარმოების კალენდარული გეგმა-გრაფიკის შესაბამისად, 90 კალენდარული დღე (ექსპერტიზიზ დადებითი დასკვნის ჩათვლით).

3.2 მიმწოდებელმა სამუშაოების შესრულების კალენდარული გეგმა-გრაფიკი უნდა წარმოადგინოს და შემსყიდველთან შეათანხმოს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში.

3.3 მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები დაიწყოს შეთანხმებული გეგმა-გრაფიკის პირობების შესაბამისად.

3.4 მიწოდების ადგილი – ქ. ონი.

3.5 სამუშაოების დასრულების შემდეგ შემსრულებელი ვალდებულია ტერიტორია გაათავისუფლოს საამშენებლო ნარჩენებისაგან.

4.შესრულებული სამუშაოს ხარისხი და გარანტია

4.1 შესრულებული სამუშაოს ხარისხის საგარანტიო ვადად განისაზღვროს საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 2 (ორი) წელი.

4.2 სამუშაოების დასრულების შემდეგ საგარანტიო ვადის განმავლობაში რაიმე წუნის (ნაკლოვანებები, დეფექტი) აღმოჩენის შემთხვევაში, თუ დადგინდება რომ აღნიშნული წუნი (ნაკლოვანებები, დეფექტი) გამოწვეულია უხარისხო ან/და არაჯეროვანი შესრულებით, მიმწოდებელი ვალდებულია აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები საკუთარი ხარჯებით.

5.ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება)

5.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს ნებისმიერ ეტაპზე ახორციელებს შემსყიდველი.

5.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ტექნიკურ ზედამხედველობას განახორციელებს პირი/ორგანიზაცია/შესაბამისი სამუშაო ჯგუფი, რომელიც შერჩეული იქნება შემსყიდველის მიერ, არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებით.

5.3 შესრულებული სამუშაოების კალენდარულ გეგმა-გრაფიკთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, შემსყიდველი პერიოდულად ახორციელებს ინსპექტირებას, რაზედაც წინასწარ ატყობინებს მიმწოდებელს.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. ამასთან, შესრულებული სამუშაოების (ან მისი ნაწილის) დასრულების თარიღად ჩაითვლება დადასტურებული ფორმა N2-ით (შესრულებული სამუშაოების აქტი) განსაზღვრული სამუშაოს დასრულების თარიღი.

6.2 ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრული სამუშაოების მოცულობები შესაძლებელია შეიცვალოს (დაზუსტდეს), ფაქტიურად შესასრულებული სამუშაოების გათვალისწინებით, ხელშეკრულების 5.2 პუნქტით განსაზღვრულ

პირ(ებ)თან მიღწეული წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, რაზეც გაფორმდება შესაბამისი აქტი და ამ აქტის საფუძველზე უნდა გაფორმდეს შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმება.

6.3 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე, ტექნიკურ ზედამხედველობაზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული შუალედური მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირებს წარმოადგენენ წინარე ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.2 პუნქტში მითითებული პირები.

6.4 შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

6.5 შემსყიდველი ვალდებულია შუალედური ფორმა №2-ის წარმოდგენიდან არაუმეტეს 20 კალენდარული დღის ვადაში, წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული სამუშაოს მოცულობის და წუნდების მიზეზის მითითებით.

6.6 საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება მოხდება , მიმწოდებლის მიერშესრულებულ სამუშაოებზე დადებითი დასკვნის წარმოდგენის შემდგომ, რომელიც გაცემული იქნება ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლოექსპერტიზის ბიუროდან ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ. ასევე პარალერულად წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია (მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად). ექსპერტიზის ხარჯებს გაიღებს მიმწოდებელი.

7. ანგარიშსწორება და ანგარიშსწორების ვალუტა

7.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

7.2 ანგარიშსწორება მოხდება ეტაპობრივად, მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

7.3 იმ შემთხვევაში, თუ ამ ხელშეკრულების მე-16 მუხლით გათვალისწინებული წესით საჯარიმო სანქციის გამოყენებასთან დაკავშირებით შეტყობინებიდან 15 (ხუთმეტი) კალენდარულ დღეში მიმწოდებლის მიერ არ იქნა წარმოდგენილი საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, შემსყიდველის მიერ არ მოხდება მიმწოდებელთან ანგარიშსწორება.

7.4 წინასწარი ანგარიშსწორების (ავანსი) გამოყენება შესაძლებელია საავანსო თანხის იდენტური ოდენობის, უპირობო, გამოუთხოვადი საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში (რომლის მოქმედების ვადა არანაკლებ 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს სამუშაოების დასრულების ვადას) ხელშეკრულების საერთო ღირებულების არაუმეტეს 20%-ის ოდენობით. მიმწოდებელმა ავანსის თანხები უნდა გამოიყენოს მხოლოდ ამ შესყიდვებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესასრულებლად.

7.5 უპირობო, გამოუთხოვადი წინასწარი ანგარიშსწორების (საავანსო) გარანტია წარმოდგენილი უნდა იქნას საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან ან სსიპ „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის" მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიიდან, ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

8.ხელშეკრულების შესრულების გარანტია

ხელშეკრულების შესრულების გარანტია არ გამოიყენება.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

(საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა, და გადახდის ვადები)

9.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულების დამდები მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვნად შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.

9.2 კალენდარული გეგმა-გრაფიკის ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში შემსყიდველთან წარმოუდგენლობის ან/და შეუთანხმებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმის გადახდა ერთჯერადად ხელშეკრულების ღირებულების 0,05%-ის ოდენობით.

9.3 წერილობითი დავალების მიცემიდან სამუშაოების დაწყების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება საჯარიმო სანქცია ხელშეკრულების ღირებულების 0,05%-ის ოდენობით;

9.4 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმის გადახდა (გარდა შესრულების ვადის დარღვევისა) ყოველ ჯერზე ხელშეკრულების ღირებულების 0,05%-ის ოდენობით.

9.5 ინსპექტირებისას სამუშაოთა წარმოების კალენდარული გეგმა-გრაფიკის არაჯეროვანი შესრულების/ჩამორჩენის დაფიქსირების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმის გადახდა ყოველ ჯერზე ხელშეკრულების ღირებულების 0,05%-ის ოდენობით.

9.6 საბოლოო მიწოდების ვადის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვადაგადაცილებით წარმოდგენილი და მიღება-ჩაბარების აქტით გაფორმებული დადასტურებული სამუშაოების ღირებულების 0,05 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

9.7 საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა გადახდილ უნდა იქნას ამ ხელშეკრულების მე-16 მუხლით გათვალისწინებული წესით საჯარიმო სანქციის გამოყენებასთან დაკავშირებით შეტყობინებიდან 10 (ათი)კალენდარული დღის ვადაში.

9.8 ხელშეკრულების 7.2 პუნქტის მოთხოვნის დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს დაეკისრება პირგასამტეხლო ჩასარიცხი თანხის 0,05 %-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

9.10 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს ხელშეკრულების მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებლის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.

10.2 მიმწოდებელი ვალდებულია შეატყობინოს შემსყიდველს ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი, ხოლო შემსყიდველმა აცნობოს მიმწოდებელს ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება და ამოქმედების თარიღი.

10.3 ხელშეკრულების შეწყვეტისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

10.4 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ, მათ შორის შემდეგ შემთხვევებში:

ა) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ორჯერ დარღვევის შემთხვევაში;

ბ) კალენდარული გეგმა-გრაფიკის წარმოუდგენლობის ან/და შემსყიდველთან შეუთანხმებლობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 კალენდარული დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში.

გ) მიმწოდებლის მიერ წერილობითი დავალების მიცემიდან სამუშაოების დაწყების 20 (ოცი) კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში.

დ) მიმწოდებლის მიერ სამუშაოს საბოლოო შესრულების ვადის 20 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში.

ე) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების 3.7 პუნქტით ნაკისრი ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში.

ვ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ზ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

10.6 ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ღირებულება.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ფორსმაჟორი - სტიქიური მოვლენები, გაფიცვები, საბოტაჟი ან სხვა საწარმოო არეულობა, სამოქალაქო მღელვარება, ომი, ბლოკადა, აჯანყება, მიწისძვრა, მეწყრების ჩამოწოლა, ეპიდემია, წყალდიდობა და სხვა მსგავსი მოვლენები, რომელიც არ ექვემდებარება მხარეთა კონტროლს და რომელთა თავიდან აცილებაც მათ მიერ შეუძლებელია. ფორსმაჟორად არ ითვლება მიმწოდებლის ფინანსური მდგომარეობის გაუარესება, თუ ეს ჩამოთვლილ მოვლენებთან არ არის დაკავშირებული. ამ დროს მხარეებს შორის ხელშეკრულების შესაბამისად გადასახდელ თანხაზე ფორსმაჟორის შემთხვევაში გათვალისწინებული შეღავათები არ ვრცელდება.

11.2 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11.4 იმ შემთხვევაში თუ ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, იცვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე პირობა, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

12.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება (მათ შორის მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების შეწყვეტა) უნდა გაფორმდეს წერილობით - მხარეთა შეთანხმების სახით და დანართის სახით უნდა დაერთოს ხელშეკრულებას. მხარეთა წერილობითი შეთანხმება ცვლილების თაობაზე, ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

13.უფლებების გადაცემა

14.1 ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებეულებების მთლიანი ან ნაწილობრივი უფლება-მოვალეობების გადაცემა ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმებით (შემსყიდველი - მიმწოდებელი - მესამე პირი).

14.ღირებულება

14.1 მხარეთა შეთანხმებით დასაშვებია ხელშეკრულების საერთო ღირებულების შეცვლა.

14.2 ხელშეკრულების ღირებულების პარამეტრების (ერთეულის ფასის) შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

14.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

14.4 ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

15. ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის

15.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება ტელეფონის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის გაგზავნის გზით იმ პირობით, რომ შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით.

15.2 ხელშეკრულებაში მონაწილე ორივე მხარე ვალდებულია, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში საკონტაქტო პირ(ებ)ის ან ინფორმაციის ცვლილება წერილობითი სახით აცნობოს მეორე მხარეს.

15.3 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

16. სადაო საკითხების გადაწყვეტა

17.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ხელშეკრულების ან მასთანდაკავშირებული საკითხების ირგვლივ მათ შორის წარმოქმნილი ნებისმიერი დავა შესაძლებელიაგადაწყდეს მხარეთა შეთანხმებით.

16.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების თაობაზე შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს

16.3 ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული უფლებებით გათვალისწინებული ვალდებულებების დაცვა და ამ უფლებების გამოყენების პროცესში წარმოშობილი დავების მოგვარება ეკისრება მიმწოდებელს

16.4 ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.

16.5ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

17. სხვა პირობები

17.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

17.2.ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ერთი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

17.3. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია შედგენისა და ხელმოწერის დღიდან.

18. მხარეთა იურიდიული რეკვიზიტები

შემსყიდველი: მიმწოდებელი:

ხარჯთაღრიცხვის შედგენისას იხელმძღვანელეთ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N55 დადგენილების (ტექნიკური რეგლამენტის-"სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმიური მოგების განსაზღვრის წესის" დამტკიცების შესახებ) შესაბამისად.

დანართი N2

მონაცემები პრეტენდენტის გამოცდილების შესახებ

N	სამუშაოს დასახელება	შემსყიდველის დასახელება	ხელშეკრულების ღირებულება	ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულება	ხელშეკრულების გაფორმების თარიღი
1.					
2.					
3.					

---------- ბ.ა.

ხ.მ.